საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ... ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფ. № 15—73.
საფოსტო-ანგარიში დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

ფასიწადი მეექვსე. | **საშაბათი, ენკენისთვის 28. 1920 წ. № 107** | ფასი 10 მანეთი

ეროვნულ-დემოკრატიული
×× პარტიის მთავარი კომიტეტი ××

...თავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—11 და საღამოს 7—9 საათამდე.

საორგანიზაციო კომიტეტი
გურიის საგაჭრო ბანკი ქ. ლანჩხუთში

...ცხადებს, რომ კვირას, ამა სექტემბრის 26, დილის 10 საათზე, ადგილობრივ თეატრის შენობაში, დანიშნულია ზემოხსენებული ბანკის

აქციონერთა

დამფუძნებელი კრება,

რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები:

1) გურიის საგაჭრო ბანკის გახსნა ქ. ლანჩხუთში და მიღება ლანჩხუთის ...ურთიერთო ნდობის საზოგადოების აქტივისა თუ პასივისა.
2) ახლად დაარსებული ბანკის წლიური ხარჯთ აღრიცხვა.
3) ბანკის გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის არჩევა.
4) სხვა და სხვა კითხვები.

შენიშვნა: თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადასცეს, ისევ ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ქონდეს. ვექილობა ხმის მისაცემათ უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე.

გურიის საგაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი ქალაქ ლანჩხუთში.
3 133. 6—3.

საქართველოს მუზეუმის
სამეცნიერო საბჭო

აცხადებს

კონკურსს მუზეუმ. ბიბლიოთეკ ს გ ...ის თანამდებობაზე

...კონკურსში მონაწილენი ოქტომბრის 20-დან სამეცნიერო საბჭოსადმი მომარ...ულ თხოვნასთან ერთად აცნობებენ მუზეუმის ადმინისტრაციას: (ლორის მ...ლის ქუჩა № 10)

ა) „კურრიკულუმ ვიტე"

ბ) საბიბლიოთეკო მოღვაწეობის სტაჟს.

კონკურსში მონაწილეთ უნდა იცოდენ რამდენიმე უცხო ენა.
სასურველია უმაღლესი განათლება და აგრეთვე ქართული ენის ცოდნა.
თხოვნების მიღება ყოველდღე დილის 10 საათიდან 2 საათ. 1—3148—1

მე-2 სახელმწიფო თეატრი
(ყოფილი არტისტიული, რუსთაველის პროსპ. № 21)

...დანიშნულია ...ელახალი საჯარო შეჯიბრება ამ თეატრის ...ბუფეტების იჯარით გასაცემად, რადგანაც პირველი შეჯიბ...რება არ შესდგა.

...შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ წინასწარ 10.000 მანეთი ბედ. პირობების გაცნობა თეატრის კონტორაში ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე. 2—47—1

თბილისის ქალაქის გამგეობა

...ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ გამგეობის აგენტები, რომელთაც დავალებული აქვთ ბინების გამოკვლევა—დათვალიერება, თვითეულ ...ელთაც ...ერძო შემთხვევაში, აღჭურვილი იქნებიან გამგეობის წევრის მიერ ხელმოწერილი ორდერით დასახელებული სახლის ანუ ბინის გასინჯვის შესახებ.

ქალაქის გამგეობა.

სექტემბრის გო
ლო რიცხვებში

თეატრსა და სინღნაღში

გაიმართება
ცისფერი უანნეგის
საღამო

სიტყვებსა და ლექსებს იტყვიან:
გრიგოლ რობაქიძე
ტიციან ტაბიძე
პაოლო იაშვილი
გ. ლეონიძე.

განცხადება

ვინაიდან ჩემი მაღაზიის „ა. გავისტი"-ს სრული ლიკვიდაცია მოხდა

ვთხოვ ყველა ჩემს პატივცემულ კლიენტებს მობრძანდეთ ჩემთან და მიიღოთ დანაკვეთები და გაასწოროთ ანგარიშები **სამშაბათამდე ამა თვის 28-მდე, ნაშუადღევის 12 საათამდე.**

აგრედვე ვთხოვ ყველა ჩემ პატივცემულ მოვალეებს მობრძანდნენ და მიიღონ ჩემგნა რაც ეკუთვნით.

ამასთანავე ვთხოვდი ყველა ჩემს ვალდებულთ ვინც რომ დღემდე მეშალებიან იქონიონ სინდისი, მობრძანდნენ და გამისწორონ ანგარიში, შეხედონ ღვერთს და დამეხმარონ ამ მხრივ, ჩემთვის აუტანელს წუთებში.

ვუცხადებ უღრმეს მადლობას ყველა ჩემს ძრავალ-რიცხოვან კლიენტებს, ვისაც აგერ მეექვსე წელია ჩემს საქართველოში ყოფნის დროს ვემსახურებოდი.

1—3150—1 **ა. გავისტი.**

...ვალი გზით.

მმართველი პარტიის სახელმწიფოებრივ პოლიტიკის მეთოდების ძირითად შეცდომებზე ბევრჯელ მიგვიქცევია საზოგადოების ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ სათავეში მდგომთ მეტის მეტად სწყინთ ჩვენი კრიტიკული წერილები და მათი პრესსა ჩვენს განაფრთხილებელ ძახილს „სახელმწიფოს ღალატად" ჰნათლავს, ჩვენ ვაღდებულნი ვართ მაინც კიდევ მივუთითოთ იმ დეფექტებზე მართვა-გამგეობის საქმეებში, რომელთაც უკიდურესად დაჯაჭვლურეს საქართველოს სხეული და საოფარკვევ თილებამდე მიიყვანეს უაზრო ექსპერიმენტებით გაოცებული ხალხი!

რამდენადაც ეს სპეციფიური საქმიანობა შუაგულ საქართველოს ფარგლეს არ გასცილებოდა, ჩვენ იმედს არ იკარგავდით მდგომარეობის გამოსწორებაში და გვჯეროდა, რომ სახელმწიფოს მესვეურად უეცრად მოვლინებულ ...დამენების პოლიტიკას ასე ვთქვათ წარმავალი ხასიათი ექნებოდა...

მოვსტყუვდით სასტიკად: ქართველი მენშევიკები შიდა პროვინციების გაბედნიერებით გამხნევებულნი უფრო მეტის ენერგიით შეუდგნენ „ბოლშევიკურ" ბაბლონის დანერგვას და, რამდენადაც უფრო უახლოვდებიან საქართველოს პერიფერიებს, იმდენად აორკეცებენ თავის კომიტეტებში მოწონებულ „ზეგმებს"...

ამ ხალხისათვის მწარე გამოცდილებას ეტყობა არაფერი უსწავლია! მათ ვერ შეიგნეს, რომ საქართველო თუმცა მცირე ქვეყანაა, მაგრამ სხვა და სხვა კუთხის მისი მცხოვრებნი ბევრად განირჩევიან ერთიმეორისაგან, როგორც კულტურითა და ადათებით აგრეთვე ცხოვრების საერთო კოლორიტით.

შეიძლება სამჰჰადიანო კუთხეში, ანადმე ხევსურეთში იმავე ენით ელაპარაკონ ხალხს, რაგორც ვთქვათ ოსურგეთში!?

საზეიმოდ გამოგზავნილი წითელი დროშები და მედიდურ „ინტერნაციონალის". სიმღერა ჯერ კიდევ ...ოფრის ...ჩვენებელია! ამის შთაბეჭდილების ქვეშ ...ესევ უცხო სტუმრები დავსტოვოთ, ...ოლო ქვეყნის ყოფაცხოვრების შესწავლელად უმჯობესი იქნება ყველა დღიურ ვითარებას გაეცნოთ, უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ შეწუხებულ ხალხის გულისთქმას...

არ უნდა გვაკიწყდებოდეს ერთს წუთსაც, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური და საომარი სიძლიერე მისი განაპირა კუთხეების მდგომარეობით განზომება. ეს „ანბანი" მტკიცედ შეთვისებული უნდა ჰქონდეთ დღევანდელ გამგებელთ. ის ხომ ცხადია, რომ საქართველოს ირგვლივ მტრულად დარაზმული გაცილებით აღმატებიან ჩვენი თავისუფლების მეგობრებს. რა დიდი მუშაობა და გამჭრახობაა საჭირო, რომ მოსულ მტერს ჩვენს სანაპიროებზე ფოლად ასხმული ერთგულნი დარაჯნი შეჰხვდენ საქართველოს მთლიანობის დასაცველად. გრძელი პოლიტიკოსი მუდამ იმის ცდაშია, რომ განაპირა კუთხეები სამშობლოს შეუთვისოს ისე, რომ სახელმწიფოს მთლიანობის შენახვით ყველანი თანაპარად იყვნენ დინტერესებულნი!

ამის მხგავს ვერაფერს იხილავს დღევანდელ საქართველოს ნკვლევარი: ჯერ იყო და აფხაზეთში ვიმყარებდით „წესიერებას" იმავე უვარგის და დამღუპველ მეთოდით და დარწმუნდნენ ყველანი, გარდა „უცოდველ" სოციალ-დემოკრატებისა, რომ აფხაზეთი არსებითად ხელიდან გვეცლებოდა. აკი ამიტომ ჩვენი ქვეყნის მოიმხლე მტრებმა რუს-ქართველ-ბოლშევიკებმა—სწორედ ეს კუთხე ამოირჩიეს თავის მოღალატურ მუშაობისათვის საქართველოს დამუკიდებლობის დასანახად. დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ თვით ადგილობრივი ...კვიდრნი წინააღუდგებოდნენ ამ საზიზღარ აგიტატორებს, უკეთუ დედა-საქართველო დაუმტკიცებდა ლოიალურ აფხაზეთს ნამდვილ ...ყვარულს და ამაგს.

ეხლა ჯერი მიმდგარა სამაჰმადიანო საქართველოზე, მათომის ...ოლქზე. ამ კუთხესაც მივუჩინეთ საგანგებო კომისარი თითქმის განუსაზღვრელი უფლებებით ...ეჭურვილი... რა კეთდება სახელმწიფოებრივი ბათუმის მხარეში არავინ იცი! ...ორიოდე დაუდეგარ სპეკულიანტის შეპყრობით და კაფე-შანტანის როსკოპების „ოსტრაკიზმით" ქვეყნის გაჭირვებას რომ რამე ეშველებოდეს, საქართველოს ხელისუფლებამ ერგებოდათ „უნიჭო" ევროპიელებისაგან, რომელთაც ამ ხნობამდე ვერ შეუგნიათ ასეთ „უგბარი" მეთოდების სარგებლობა.

სარწმუნო წყაროებიდან ვტყობილობთ, რომ ქართველი-მაჰმადიანები მწუხარებას შეუპყრია ღვიძლი-ძმების ასეთ მოულოდნელ მოპყრობის, გამო დღემდე ამ კუთხეს მხოლოდ „ოტრიადების" მეოხებით განაგებენ, ხოლო ქვეყნის წარმატებისა და გავერანებულ მეურნეობის განახლებისათვის არავინ ცდილობს. ავ ...ორიტეტული პირები გადმოგვცემენ, რომ ქართველი-მაჰმადიანების დიდი ხნის ლოიალური ნაწილიც შეშფოთებულია მდგომარეობის უკუღმართ დატრიალებით. თურქოფილობა ფეხს იკიდებს ოლქში...

და ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩრდილოეთიდან მტერი აფხაზეთს ბჭეს მოსდგომია, ხოლო სამხრეთით ქემალ-ფაშის აგენტები ბათომის ალყაფს არაკუნებენ...

მომარაგების სამინისტროში

გრ. შანშიაშვილი.

2.

მომარაგების სამინისტრო დაარსდა, 6 ნოემბერს 1919 წელს. მის არსებობას ჯერაც არ მიუღია საკანონმდებლო სანქცია. ეს შეუწყნარებელი ვითარება იმ თავითვე აღინიშნა; კონტროლმა ამ წლის ივნისს 19 საგანგებოთ მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს, და სთხოვა მიექცია ყურადღება ამ გარემოებისათვის და ცდილიყო კანონმდებლობის გზით მომარაგების სამინისტროს ლეგალიზაცია მომხდარიყო. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ბიუჯეტის გარჩევის დროს.

არაფერმა გასჭრა და მომარაგება განაგრძობს თავის არალეგალურ არსებობას.

სამინისტროს არ აქვს არავითარი დებულება თავის მოქმედებისთვის.

მას არ აქვს არც დამტკიცებული შტატი და არც დამტკიცებული მოხელეთა ჯამაგირების რაოდენობა.

სამინისტრო არავის განაჩენს არ აძლევს, იგი დამოუკიდებელი მთავრობაა და ერაძე მისი დიკტატორი.

და დიკტატორი თავის ნებით სწყვეტს ყოველივე ამას, შტატს ზრდის და ადიდებს როგორც უნდა, ჯამაგირებს ნიშნავს, როგორიც უნდა ისეთებს. ერაძე ხელგაშლილია, ხალხის ჯიბის ხარჯზე. ასე მაგალითად განყოფილების უფროსებს, ზოგს 40.000 მან. აძლევს, ზოგს—30000 მან. ზოგს—25000 მ. ასეთ ჯამაგირს მთავრობის თავმჯდომარეს არ აძლევს დამფუძნებელი კრება და ბ-ნი ერაძე თავის მეორე ხარისხოვან მოხელეებს თავის ნებით და სურვილით ამ რიგად აწყალობებს!!.

განსაკუთრებულ ფუფუნებაში ჰყავს რწმუნებულები. ბათომის რწმუნებულის კახელაძის შესახებ გუშინ გვქონდა დაბეჭდილი საკმაო ცნობა. ორ თვე ნახევარში, ერაძის პირადი დადგენილების თანახმად, სალოპერაციო თანხიდან, მას ჯილდოთ ერგო 204.000 მან. ასეთ უზარ ჯილდოს შემდეგ კახელაძეს, რა თქმა უნდა, შეუძლიან ქველობა გასწიოს და 100.000 მანეთი შესწიროს კულტურულ საქმეს...

ეხლა გორის რწმუნებულზე ვლაპარაკობთ:

ჯამაგირი—15.000 მ. ჯილდოთ ერთ-ხელ 94.000 მ., კიდევ მოელის 200.000 მანეთი!.

ბაკურაზე შეცდა ერაძე თუ რა ამბავია რომ ასე რიგად აპნევს ხაზინის ფულებს?! კარგი ეკონომია და კარგი გაფრთხილება სახელმწიფო ქონ!. რა. ...ამბავია რომ ერაძეს სამინისტრო აუღებელი ციხე გახდა და იქ სახელმწ ფო კონტროლმაც ვერ შეაშუქა?! ნუ თუ ეს არ იცის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ, ნუ თუ ეს არ იცის სოციალ დემოკრატიულმა ფრაქციამ; ნუ თუ ეს არ იცის მთავრობამ?! იციან და სდუმან, და თუნდაც ერთის დღით ...მენენ თვითნება მინისტრის მიერ ხაზინის ფულის ...ე ბოროტად მოხმარებას, ასე უანგარიშოთ ბნევს და ფანტვას?!

— არ იციან? თუ არ იციან არც ერთი მათგანი თავის ადგილზე არ ყოფილა და ვაი იმ რესპუბლიკას, რომელსაც ასეთი უპასუხისმგებლო ხალხი მეთაურობს!

ჩვენი რესპუბლიკის ციხე შიგნიდან ტყდება, საქართველოს პოლიტიკური შენობა, ინგრევა იმ უთავბოლობით, და ქაოსით რომელიც გამეფებულია ეკონომიურ-ფინანსიურ პოლიტიკაში, და მომარაგების საქმეში...

დღეს ეროვნულ-დემოკრატიულ ...ოფ ...ოს, ამ უთავბოლობას, ის ერაძე, რომელმაც ხელთ ჩაიგდო ...ა ...ა ...ერთი მილიარდი და რომელმაც ფუნქციები წართვა ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს და რესპუბლიკის ხაზინას. ეს კაცი თერმომეტრი თვეა ამას რომ ჩადის, თერმომეტრი თვეა რომ არდევეს ეკონომიურ სიმაგრეს. და პასუხად მას ტაშს უკრავს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და სოციალ-დემოკრატიული მთავრობა. მას ხოტბას ასხამენ „ერთობა და ბორბა", რომელთაც დაჰკარგეს მიუდგომელი პრესის დანიშნულება და მთავრობასა და ყოველ მის აგენტს მარტო გუნდრუკს უკმევენ! კმარა! დროა საზოგადოებრივმა აზრმა მაღლა წარმოსთქვას თავისი სიტყვა... ერაძე უნდა წავიდეს და უნდა შესწყდეს მისი უთავბოლო პოლიტიკაც...

ერაძე-ადანაიას ამბები

საზოგადოებამ უკვე იცის, რომ მომარაგების სამინისტროს რწმუნებული ბ-ნი ადანაია ერაძის განკარგულებით დატუსაღებულია და დღესაც ციხეში ზის. ერაძის განცხადებით, ადანაია დატუსაღებულ იქნა მისთვის, რომ მან „მიიღო მომარაგების სამინისტროს კასიდან საკმაოდ დიდი თანხა და შემდეგ მის სახელზე გახსნილი იქნა ნდობა მიმდინარე ანგარიშში ბულავერის ხაზინაში; მიუხედავად იმისა, რომ ადანაიას სრულებით არ სცოდნია არც თავისი მოვალეობა და არც ხასიათი და მნიშვნელობა იმ საქმისა, რომლისთვისაც ის აღჭურვა სამინისტროს ნდობით, ატყვილებდა სამინისტროს 1-2 თვე და მთელი ეს დრო გაატარა თბილისში და მუშაობდა კოოპერატივში. ეს ცოტაა, მიიღო რა ფული მხოლოდ პურის მოსამარაგებლად, ადანაიამ თავისი პირადი მოსაზრებით, როდესაც ამის უფლება არ ჰქონდა, მიაბარა შესანახად (ფაქტიურად სესხათ) თბილისის კოოპერატივთა კავშირს 9 მილიონი მანეთი. კავშირმა ფული დახარჯა თავის საჭიროებისათვის.

ჩვენ იმ თავითვე მივაქციეთ ყურადღება ამ მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტს და განვაცხადეთ, რომ თუ ეს მართალია, მინისტრი, რასაკვირველია ასე უნდა მოქცეულიყო და აღშფოთებაც გამოვთქვით იმის შესახებაც, რომ მინისტრს ორი თვის განავლობაში არ სცოდნია, თუ რას აკეთებდა მისი „ნდობით აღჭურვილი" რწმუნებული.

ეხლა ჩვენ ვბეჭდავთ კოოპერატივთა

კავშირის რწმუნებულთა დადგენილებას, რომელიც სრულებით სხვა გვარ სხივს ჰფენს ერაძე-ადანაიას ამ უცნაურ ისტორიას.

ეს თვით რეზოლუციის ტექსტიც „ათ ენკენისთვეს, მიმდინარე წელს, გადმოვიდა ბრძანება მომარაგების მინის: ტრისა, რომლის ძალითაც ს. ი. ადანაია, ქალ. თბილისისა და მის მაზრის კოოპერატივთა კავშირების თავმჯდომარე, გადაყენებულია სამსახურიდან და დაპატიმრებული.

იმ ბრძანებაში, სადაც საქმეა მოყვანილი, რამდენიმე ყალბი ცნობაა დაშვებული, რომლითაც ადანაიას ბრალად ედება: მძიმე ბოროტმოქმედება დემოკრატიის წინაშე, ამიტომ კოოპერატივთა რწმუნებულების ყრილობა ქ. თბილისში ვალად სთვლის თავს, აღადგინოს ფაქტიური მხარე საქმის ვითარებისა და თავის აზრი გამოსთქვას ადანაიას დანაშაულზე.

იმ დღიდანვე, რა დღიდანაც ს. ი. ადანაია მომარაგების სამინისტროში გადაეყიდა, მას დაეკვალა ბორჩალოს მაზრაში სამინისტროს რწმუნებულების თანამდგომლობა ეკისრნა და პურის დამზადებისთვის მიეყო ხელი. აქ მას განსაკუთრებული ოპერაცია ჰქონდა მინდობილი, ვიდრე მოცელათი ავად არ გახდა, რამაც აიძულა თბილისში დაბრუნებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ მაზრაში მცირე ხანს დაჰყო, მან შეჰქმნა დიდი და ძლიერი აპარატი პურის შესაძენად. რადგანაც მუშაობამ დაანახვა, რომ პურის დამზადება ნაღდ ფულზე შეუძლებელი იყო, ოპერაციების გასადიდებლად საჭირო იყო საქონლის გაცვლა-გამოცვლა, მაშინ ს. ი. ადანაიამ გადასწყვიტა მიემართა კოოპერატივების კავშირებისთვის და მათთან შერიგებით საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე, ეწარ, მოებინა უსაჭიროესი სანოვაგის შეძენა. და აი, 31 ივლისს ბორჩალოს მაზრაში გატანილ იქმნა 4 ვაგონი ქვამარილი, პურზე გადასაცვლელად.

ეს პირველი ხაბიჯი საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე გადადგმული საუცხოოდ იქმნა გადადგმული და კარგი შედეგიც გამოიღო. მცხოვრებნი დიდი სიამოვნებით სცვლიდნენ პურს მარილზე.

ამის გამოისად რწმუნებულმა ადანაიამ სხვა და სხვა დროს მისცა კავშირს 9 მილიონი მანეთი საქონლის საყიდლად. კავშირმა მიიღო თავის თავზე გარანტია ფულის მიღებაზე და დაიკისრა შთელი რისკი ამ საქმის ოპერაციები თვითონ გაეწია.

5 მარიამობისთვეს ადანაიადან შემოვიდა შემოსულ ანგარიშზე ერთი მილიონი მანეთი, 16 მარიამობისთვეს ათი მილიონი, 21—4 მილიონი, 2 ენკენისთვეს 2 მილიონი.

21 მარიამობისთვეს კოოპერატივთა კავშირმა გაჰგზავნა კიდევ ერთი ვაგონი მარილი, იმის გარდა, რაც გაგზავნილი იყო 4 ვაგონი, სულ ღირებული 3 მილლიონ მანეთად.

ამის გარდა, კავშირი შეუდგა თბილისგარედ იმისთანა საქონლის ყიდვას, რაც სოფლისთვის საჭირო იყო, როგორც მაგალითად, ლურსმანი 800 ფუთი, 2 მილლიონ მანეთისა, 500,000 კოლოფი წუმწუმა 2 მილლიონი მანეთისა, საპონი 600 ფუთი, ყველა ეს საქონელი დანიშნული იყო ბორჩალოს მაზრისათვის. ერთი სიტყვით, კავშირმა დაამზადა ცხრა მილლიონ მანეთზე უფრო მეტის საქონელი და ამ საქმისთვის სატრიალებელი თანხა გაიჩინა. მაგრამ, საუბედუროდ, საქონელმა ვერ მოასწრო თბილისში ჩამოსვლა, როცა ადანაია უეცრად დაპატიმრებულ იქმნა მომარაგების მინისტრის ბრძანების თანახმად. შემდეგ მინისტრმა მოთხოვა კავშირს, რომ დაუყონებლივ შეეტანათ კასსაში 9 მილიონი მანეთი, მიუხედავად იმისა, რომ სამი მილიონი დაფარული იყო საქონლის სახით გატანილი ბორჩალოს მაზრაში (მარილი). გამგეობის წევრები ასაბუთებდნენ, რომ ამითი საქმე შეიძლება წახდეს, თუ საქონელს განაღდება დაუწყეთო, მაგრამ კავშირის გამგეობას ამ გზის იქით აღარაფერი არ დარჩა და შეეცადა რაც შეიძლება მალე ვაენაღდებინა ქალ. თბილისში, რაც დანიშნული იყო სოფლისა და უმეტეს წილად გზაში იყო. ფული მაშინვე იყო შეტანილი. კავშირმა ამით დიდი ზარალი ნახა და ქალაქის მცხოვრებლებს დიდი ზიანი მიაყენა, რადგანაც 9 მილიონ მანეთში ვერ იშოვნიდა იმ პურის სამოც პროცენტსაც, რასაც უთუოდ მიიღებდა ნაყიდს და გაცვლილ საქონელში.

ქალ. თბილისის და მისი მაზრის კოოპერატივების რწმუნებულთა კრება ამით აღნიშნავს, რომ ის დიდი დამზადებითი ოპერაციები ბორჩალოს მაზრაში, რომელიც ასეთი მუშაობით დიდებულად ჩაატარა ს. ი. ადანაიამ, ეხლა მოსპობილია. ამის გარდა, რწმუნებულთა კრება აცხადებს, ქალ. თბილისისა და მისი მაზრის კოოპერატივთა სახელით, რომ ადანაიას არაფერი ბოროტ მოქმედება არ ჩაუდენია დემოკრატიის და არც მთავრობის წინააღმდეგ.

პირიქით, პირნათლად ასრულებდა მინდობილ საქმეს. ისეთი ენერგიული მუშაობა უნდა დიდი მადლობით იყოს ძიღებული საზოგადოებიდან. ამისთვის რწმუნებულთა კრება შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, დაუყონებლივ იქმნეს განთავისუფლებული ადანაია ციხიდან, რომ დაუბრუნდეს თავის საზოგადო მოღვაწეობას. ამ მიზნით რწმუნებულთა კრება ირჩევს დელეგაციას, რომელსაც ავალებს სთხოვოს მთავრობის თავმჯდომარეს და შინაგან და მომარაგების მინისტრებს მისი განთავისუფლება.

თავმჯდომარე რწმუნებულთა კრებისა ა. **დევდარიანი.**

მდივანი **ტ. ციციშვილი.**

როგორც მკითხველი, ზემოთ მოყვანილ დადგენილებიდან დაინახავს, ხსენებული დადგენილებიდან დაინახავს მასში მოყვანილი ცნობები დიდათ განირჩევიან ბ-ნ ერაძის განცხადებიდან.

რეზოლუციიდან სჩანს, რომ ერაძე სტყუის თავის განცხადებაში, რომ ადანაია ფულები კოოპერატივთა კავშირისათვის გადაეცეს, ხოლო თვით ადანაია თბილისში დარჩენილიყოს.

დადგენილებიდან აშკარად სჩანს, თუ რა მიზნებისათვის გამოუყენებია ადანაიას და რა ზომები მიუღია სამინისტროს მინდობილობის შესრულებისათვის.

თვით ამ ისტორიაში, ვიდრე რესპუბლიკის სასამართლოს თავის ნათელი ან მოუფენია ამ მეტად ბნელ საქმისათვის, ჩვენ, რასაკვირველია ვერც ერთი მხარის დამცველად ვერ გამოვალთ, მაგრამ მთელი ეს ამბები მეტად დამახასათებელია იმ ქაოსისა და საქმის არევ-დარევისთვის, რომელიც მომარაგების სამინისტროში სუფევს.

დღეს ერთ პირს აღჭურავენ განუსაზღვრელ ნდობითა და სრულ ძალაუფლებით, ხვალ ამავე პირს თავის პოსტიდან მოხსნან და ციხეში აგზავნიან.

დღეს ერთი ხასიათის დადგენილებას იღებენ, ხვალ სრულებით საწინააღმდეგოს და ამით სრულ გაუგებრობას ჰქმნიან.

ეს სისტემა შეუძლებელია, რომ გაგრძელდეს! მომარაგების მინისტრი ვალდებულია პასუხი აგოს ამ ქაოსისა და ანარქიისათვის.

საზოგადოება მოუთმენლად მოელის იმ პასუხს, რომელიც მას სასამართლომ და საგანგებო რევიზიამ უნდა მისცეს!

„ერთობას".

იძულებითი პასუხი.

ეს ერთი ხანის, გაზეთი „ერთობა" და განსაკუთრებით „ულყუნდ შემდგარი მისი თანამშრომელი „განი" ვეღარ ითმენენ „საქართველოს" გამოსვლებს იმ საშინელი არევ დარევის და ანარქიის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებრივ მეურნეობაში სუფევს.

ჩვენი დასაბუთებული გამოსვლებს, რომელთა მიზანია აღნუსხვა მხოლოდ იმ შეცდომებისა, რომელთაც საქართველოს ხელმძღვანელი პარტია სჩადის, გაბრაზებული გაზ. „ერთობის" რედაქცია მოთმინებიდან გამოყავს და ასეთ რესალაპარაკებს, რაც სრულებით შეფერებულია სერიოზული გაზეთისათვის.

„ერთობა" ეს ერთი ხანია დადათ დდე იმეორებს, რომ გაზეთი „საქართველო" სპეკულიანტების გაზეთია, რომ მისი ხელმძღვანელები ბურჟუაზიის „დაქირავებულნი" ხალხია და ასეთი დამალი ხასიათის დემაგოგიათ ტყერდს უხვევს იმ კონკრეტულ ბრალდებებს, რომელნიც ჩვენს გაზეთს არა ერთხელ წამოუყენებია მართველი პარტიისთვის, მაგრამ უპასუხოდ დარჩენილა.

აქამდე ჩვენ დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით „ერთობის" დემაგოგიას—ყველას თავისი სტილი აქვს და „ერთობას" ლექსიკონი მხოლოდ მისი სარგებლობისათვის დავტოვეთ.

მაგრამ ამ ორი დღის წინეთ ხსენებული გაზეთის უკვე ყოველივე წრეს გადასულ განცხადებებს, ჩვენ იძულებულნი შევიქენით ერთი რეპლიკა მიგვეცა, რომ „ერთობა" სულს ღაფავდა რევოლიუციამდე უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე გამოცემა.

დღეს „ერთობა" დიდს სასახლეშია გამოჭიმული თავისი ძვირფასი საბეჭდი მანქანებით და სხვა და სხვა სასტამბო მასალები.

როგორ შეიძანა „ერთობამ" მილიონები! რომ პატიოსანი გზით და ოფლის შესაძლებელი ყოფილიყოს ასეთი უძრავ მოძრავის ქონების შეძენა, დღეს ყველა რედაქცია ასეთ საკუთარ სახახლეებში უნდა ყოფილიყო მოთავსებული?"

„ერთობამ", ჩვეულებისამებრ, რასაკვირველია, არავითარი პასუხი არ მოგვცა და ასეთი ყალთაბანდობით გვიხვეს გვერდს:

„ერთობამ" სახლი იყიდა ყოველ რეკვიზიციის გარეშე და თუ ის „გამდიდრდა" რევოლუციის ხარჯზე", აქ გასაკვირი არაფერია. რევოლიუციონურ ხანაში ფარული გასაღები აქვს რევოლიუციონურ პრესას და არა შავ-რეაქციონურს"

მაშასადამე „ერთობის" ვიქილის გ-ნ „განის" განცხადებით „ერთობამ" თავისი ქონება ტირაჟის გაზრდით შეიძინა!

ვინც პრესის მდგომარეობას იცნობს საქართველოში, მისთვის, რასაკვირველია სიტყვა იქნება განის განცხადება, ხოლო ჩვენთვის, ვინც გაზ. „ერთობის" მდგომარეობასაც ვიცნობთ და საერთოდ გაზეთის ბაზართანაც დაახლოვებულნი გართ, კატეგორიულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ერთობის" გენცხადება სიმართლესთან ძალიან დაშორებულია!

მაგრამ უფრო საინტერესო იქნება თვით „ერთობამ" აუხსნას თავის მკითხველებს თავიანთ გამდიდრების ისტორია

მათთვის ეს უფრო საყურადღებო იქნება. ჩვენ კი ამ მოთხრობისათვის, ზოგიერთ სახელმძღვანელო ეტაპებს გავახსენებთ ამ გამდიდრების შესახებ:

როდის იქნება გამოქვეყნებულა გაზ. „ერთობის" ფურცლებზედ ანგარიში, იმ მილიონების შესახებ, რომელნიც ბოლშევიკებისავან ხელთ იგდეს ქართველმა ბოლშევიკებმა?

მეტეხის სტამბის მდგომარეობა დღეს? და როცა ამ ცნობებს მიაწოდებს „ერთობა" თავის მკითხველებს, იქნება ჩვენც გვაცნობოს როსტოვის სტამბის მდგომარეობა და მისი რეალიზაციის ამბავი!

ეხლა გაზეთის ტირაჟზე; ყველამ კარგათ იცის, რომ საქართველო დიდ ქალაქის კრიზის განიცდის და ყოველი გაზეთის ტირაჟი დამოკიდებულია იმ ქალაქის ოაოდენობაზედ, რომელიც მას აქვს. დღემდე ქალაქი მხოლოდ მომარაგების სამინისტროს ჰქონდა და „ერთობა" უკანასკნელ დღემდე ამ ქალაქით თითქმის უფასოთ სცხოვრობს და აბა რა გასაკვირია, რომ მისი ტირაჟი მეტი იყოს მათ უმეტეს, რომ მაშინ როდესაც სხვა გაზეთები 15, 20 ან. ღირს „ერთობის" რედაქციას შესამლებლად სცნობდა გაზ. უკანასკნელ დროამდე 5 მ. გაეყადა, როცა მარტო ქალაქი ფულიანი 12 მანეთი ღირს ჩვენ გვიკვირს რატომ უფასოდ არ არიგებენ გაზეთს—ალბათ ამ ფულით მუშახელის ხარჯებს თუ ისტუმრებენ, რადგან სხვა ხარჯები მათ არ უნდა ჰქონდეთ.

ორი სიტყვა ჩვენი მინის შესახებაც: „ერთობა" ამბობს, რომ მან თავისი სახლი იყიდა, ხოლო ჩვენ „რეკვიზიციის წესით დავბინავდით;

როგორ იყიდა სახლი „ერთობამ" ამას ალბათ ის თვითონ ეტყვის, ხოლო რაც შეეხება ჩვენს რეკვიზიციას, კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ „ერთობა" აქაც არ ამბობს სიმართლეს: ის სახლი სადაც ჩვენი რედაქცია იმყოფება, ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილების ანგარიშზე ირიცხებოდა და დაბეჭდილი იყო იმავე ქალაქის გამგეობის მიერ, რომელმაც ანგარიშიდან მ ხსნა და ჩვენ გადმოგვცა არა რეკვიზიციის წესით, არამედ თანახმად ჩვენი შეიანდხეებისა სახლის პატრონიან, რომელსაც ჩვენ იმ ქირას ვაძლევთ, რაც მან ითხოვა—რეკვიზიცია და მტაცებლობა „ერთობის" და მისი კლიენტურის პრივილეგია არის და მათ ამაში ვერ შევდავებით.

ასეთი ხასიათის მხილებანი, ჩვენთვის სრულებით სასიამოვნო არ არის და საზოგადოებრივი აზრის ორგანოსთვის სრულებით შეუფერებლად მიგვაჩნია, მაგრამ „ერთობის" ძალზედ უსერცხვილო გაღმა გამოდგებამ გვაიძულა გვეთქვა მცირედი იმისა, რისი თქმაც არ გვსურდ; „ერთობა" შესდგეს!

ამ გზაზედ კამათი მას სამარცხვინო ბოძამდე მიიყვანს...

საზეიმო იმედები

სოციალისტური ინტერნაციონალის საქართველოში მოგზაურობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და ამიტომ ყველა მისი შედეგების გათვალისწინება მეტ დ ძნელია. შეიძლება მხოლოთ ზოგიერთი ისეთი მოვლენის აღნიშვნა, რომელნიც ამ მოგზაურობის პირველ ნახევარშივე დასრულდა.

უკვე ეხლავე გამორკვეულია საბუთები დელეგაციის ოვის, რომ საქართველოს სოციალ დემოკრატია მეტად წინ წასულა ევროპიელ თან შედარებით.

ჩვენს სტუმრებს დიდხანს არ უნდოდათ ამის აღიარება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდნენ ეს საქვეყნოდ ეთქვათ წინანდელში, სადაც მიწად-მოქმედების მინისტრმა ბ-ნმა ხომერიკამ დაწვრილებით გააცნო მათ მენშევიკების სამი წლის დაუღალავი ალმშენებლობა საქართველოში და დაარწმუნა კიდევ, რომ საქართველოს ორი ათასი წლის კულტურა მენშევიკებმა სამი წლის განმავლობაში ისე გაამდიდრეს და აყვავეს, რომ ვერც კი იცნობთ. მართალია არ რამოდენიმე დღეს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობაც საკმაოდ ასურათებდა ამ ეროვნულს აღორძინებას.

ნათლად გამოირკვა, რომ ამოდენი „წითელი დროშების ტყე" და მარქსის სურათი არც ერთს ევროპის სახელმწიფოში არ მოიძებნებოდა.

დელეგაციის წევრებს გაახსენდათ თბილისში ჩამოვლის პირველი დღე, სადაც ასინი გაეცვნენ ქართველ ამბასადორებს და სხვათა შორის ამცნეს მათ, რომ ქ-ნმა ნ ოუდენმა ომის დროს, რაც სამოდე წლის განმავლობაში დიოს ინგლისში ორი ათასი მატინგი გამართა. ასევე უკვე არ ეყოფოდა, რომ ქართველი ამხანაგები ამდენ მატინგს სულ რამდენიმე დღეში აწყობენ—ისიც თავის პატარა ქვეყანაში,

ყოველივე ამის შესახებ ჩვენმა სტუმრებმა გულახდილათ განაცხადეს: ჩვენ ვიცოდით, რომ თქვენ საუცხოო ბუნება გქონდათ, მაგრამ არ შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ აქ ყოველი ცოცხალი არსება, სოციალიზმზე იმეტყველებდა და ყოველივე ბუჩქ და ბორცვი წითელი დროშებით და მარქსის სურათებით იქნებოდა დაფენილიო.

ბ-ნმა ხომერიკამ მეტად მოხერხებულად გაუკეთა რეზიუმე მენშევიკების სამი წლის ალმშენებლობას და არც დაჰმალა, რომ ჩვენ ზოგიერთი შეცდომაც მოგვივიდა ალმშენებლობის პროცესში და ზოგს დარგში კიდეც შეგვიფერხდა საქმეო. თვით ამ მალულის მეფურნეობის ერთი ნაწილი დაზარალდა ჩვენს ხელში: ღვინის მოყვანა შემცირდა, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენი მეურნეობის მეორე დარგი ღვინის სმა და მოხმარა შესანიშნავი გაცილებით უკეთ გვაქვს დაყენებული და შეიძლება ითქვას დიდათ აყვავებულიც არისო.

ყოველივე ამის შემდეგომ ჩვენმა სტუმრებმა გულახდილად აღიარეს რომ საქართველოს მსოფლიო ინტერნაციონალში ბადალი არ ყოლია. მათ კიდეც აღუთქვეს ჩვენებს, რომ ინტერნაციონალის შემდეგი კრება უთუოდ საქართველოში მოხდება.

ყველა ეს საკითხები შეიძლება ითქვას დასრულდა და გაშუქდა მოგზაურობის პირველს ნახევარში. დარჩა დასავლეთი საქართველო, რომელიც სოციალისტურ საქმეებში კიდევ უფრო დაწინაურებულია. ცხადია, იქ ჩვენი მენშევიკები კიდევ მრავალ ახალს თავის ღვაწლს და დამსახურებას აღმოაჩენენ.

ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება მხოლოდ ერთი პატარა საკითხი, რომელიც აღიძრა დელეგაციის ჩამოსვლის ჭირველ საათიდანვე. საკმაო იყო ევროპის სოციალისტებს თვალი დადაევლოთ ჩვენი ქვეყნისთვის, რომ მაშინვე ეთქვათ: თქვენ გჭირიათ კაპიტალი, აუცილებელია, რომ თქვენში ევროპის კაპიტალისტები მოვიდენო. ეს აზრი შემდგომ უფრო ნათლად გაუმარტეს ჩვენმა სტუმრებმა თავის ამხანაგებს: თუ რამე ქონება და სიმდიდრე იყო თქვენს ქვეყანაში, ამ სამი წლის ალმშენებლობის დროს შემოგქმედიათ ხელში და ეხლა თუ სხვა ქვეყნის კაპიტალისტები არ მოგეშველენ, შიმშილი მოგელით და მაშინ კი ინტერნაციონალიც დაგავიწყდებათ და სოციალიზმიც.

ჩვენი მენშევიკები პირველს ხანში თითქო უარზე იყვენ: რათ გვინდა ჩვენ უცხო კაპიტალი, ჩვენ თითონ შევქმნით სიმდიდრეს და ერთი სიტყვით ჩვენ გვინდა საკუთარ ძალებს დავეყრდნოთო.

მაგრამ გამოცდილმა ევროპიელებმა სიტყვა მოკლედ მოუჭრეს: სოციალისტური პოლიტიკა ვერ იხეირებს, თუ კაპიტალი არ იქნა. თქვენ ძალებს რომ დაეყრდნოთ, იცოდეთ მალე წაიქცევითო. ჩვენები იძულებული გახდენ ემცნოთ თავის სტუმრებისთვის, რომ ყოველივე ეს მათ კარგად იციან, მაგრამ კაპიტალისტების საქართველოში მოწვევის საშუალება ჯერ ვერ გამოუნახავთ.

მოპატიჟებით ჩვენი მოვიპატიჟეთ, ჩვენ კი არა და რუსეთის ბოლშევიკებიც გამწარებული იწვევენ მათ, მაგრამ ამით არაფერი გამოდის.

ჩვენმა სტუმრებმა ყოველივე ამის შემდეგ ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ ევროპის კაპიტალისტებს მაინც და მაინც არ უყვართ სოციალისტები. ეს კაპიტალისტები ავი ხალხი ყოფილა. როგორც შემოვლენ, თქვენზე გაბატონებას და სოციალიზმისთვის ფრთების შეკვეცას მოისურვებენო. ეს თათბირი ერთგვარ უსიამოვნო დისონანსად შეიჭრა საერთო ზეიმში და ის მალე შეწყდა.

საკითხი კი გამოურკვეველი რჩება.

ჩვენ გვინდა (ყველაზე მეტად კი მენშევიკებს) კაპიტალი. ჩვენი არ გვაქვს, უცხოეთის იმპერიალისტები არ გვეკარებიან, რომ მათი თანხებით დროებით ხელი მოვიბრუნოთ, სად არის ხსნა?

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი გენიოსი პოლიტიკოსები მენშევიკები აქაც იპოვიან გამოსავალ გზას. ინტერნაციონალს გადმოსახლება, კი არ არის საჭირო ჩვენში, არამედ ინტერნაციონალს ზოგიერთი წევრების, რომელთაც კარგა დიდი კაპიტალი და ქონება აქვთ. ჩვენი სტუმრები ბ-ნი ვანდერველდე და დე-ბრიუკერი კარგად იცნობენ ბევრს ისეთს სოციალისტებს, რომელთაც ძველი ოქროთ რომ ვანგარიშობ, მრავალი ათეული მილიონის ქონებ ... აქვთ. რად უნდა ვეძიოთ იმპერიალისტები. კაპიტალისტები. ისინი მეტრენ ... ... სოციალიზმის. ... ...

გს შეუდგა. პოლონეთში დაგრიალებულმა ამბებმა და სასარგებლო მიმდინარეობამ, რომელიც მისცა ამ ამბებს მილიერანმა, მას დიდი სახელი მოუპოვებს.

გერმანული ცნობები.

(დასაწყისი აო მიგვიღია) გიუმანლნიშნა, რომ გერმანელ 470.000 მეშალარო თაგან, 128,000 მეშა მუშაობს ანტანტისათვის, რომელსაც ყოველ დღიურად 77 ვატარებელი ნახშირი ეძლევა საფრანგეთის ოფიციალური ცნობების თანახმად, საფრანგეთი ამ ომად იღებს 90 პროცენტსა, რასაც მშვიდობიანობის დროს იღებდა, რაც ინგლისის [illegible] ბევრად მეტია შეადგენს-ნახშირის ასეთი დიდი რაოდენობის ყოველდღიურმა გაზიდვამ გერმანელ მეშალაროეთა შორის დიდი მღელვარება გამოიწვია, რომელთა შორისაც ბრძოლის ინტერესივობა დეცა და სამხედრო ოკუპაციისაც კი შეუძლებელია ამისი აწევა, რგორც ეს საფრანგეთში მოხდა.

ამ ოლქში ბიუხედავათ მუშაობა 25 პროცენტამდეა, ნახშირის დამუშავება 35 პროც. დაეცა. გიუ მიმართავს საფრანგეთს და ითხოვს გამოთქვამს, რომ იგი გერმანელ მეშალაროეთ საშინელი მდგომარეობაშია არ ჩაგდებს. ევროპის ბოლის საშინელი ზამთარი ოდგანაც გერმანია არ [illegible] თავის მოვალეობის ბატონ პატრონი.

საქსონიაში უმუშავართა რიცხვი გაზარდა. ქ.ლ. პლაუენის მცხოვრებთა მეხუთედი უსაქმოდ აოის, აქედან 3 ათასზე მეტი უკვე ნაიეიარ წელზე მეტია რაც უმუშევად აოის.

ზარლის ანზღაურება.

ზარალის ახალ ოურეს კომპანია იუწყება, რომ ეს მანამ მთელი ტონაჟი მოიტანა. ახლა [illegible] 2 მილიონი ტონი.

უკმაყოფილება ქემალის წინააღმდეგ.

ეუნ. „დეიტბას“ კონსტანტინეპოლელი კორესპოდენტი იუწყება, რომ თვით ანატოლიაშიც ქემალისტების წინააღმდეგ უკმაყოფილება იზრდება. მუსტაფა ქემალს დასაყრდნობი არა აქვს, ზამთარში მისი მდგომარეობა გაუარესდება. ცოტა ძალა დასჭირდება კონსტანტინოპოლის მთავრობას, რომ [illegible] ბლები მორჩილებაში [illegible].

გერმანია და ანტანტა.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ იუწყება: ანტანტამ სექტემბრის 30—მდე ყველა სამხედრო სადემობილიზაციო ბიუროს მოსპობა მოითხოვა. გაზეთი დასძენს რომ ამის შესახებ თავრობისა და მოკავშირეთა კომისიის შორის მოლაპარაკება კვლავ გრძელდებაო.

დამოუკიდებელთა რასკოლი.

დამოუკიდებელს სოციალისტების თავჯდომარემ კრისტენსმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც აუწყებს, რომ დამოუკიდებელთა შორის მოსაზრეთ განხეთქილება უკვე ფაქტია, ვინაიდან უკიდურესმა მემარცხენეებმა დეიმინგის ხელმძღვანელობით დამოუკიდებლად დაიწყეს მოქმედება და პარტიულ დისციპლინას აღარ ექვემდებარებიან. ამავე დროს დეიმინგი სპარტაკელების გაზეთში „როტე ფანეში“ აქვეყნებს მოწოდებას მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ, რომელსაც არ იზიარებს კრისტენსი ვინაიდან მისი პრინციპები (დამახინჯებულია)

სტოკჰოლმი მოკავშირეთა რეინში არსებულ კომისიის განცხადების თანახმად საოკუპაციო ოლქებში ჯარის უფროსებს ნება ეძლევათ თვალყური ადევნონ ახალი გზის კეთების საქმეს და აგრეთვე ამგვარი მუშაობა აწარმოონ სამხედრო მიზნებითაც.

გერმანიის მთავრობის პირები მათს ბრძანებას უნდა დამორჩილდენ. ამ მიზნით მოხელეტეხნიკებს გაგზავნიან სამხედრო მოხელეებთან: კელნში, შპეირში და კისბადენში.

დაკუმიგმა და კრისტენმა, 620 ხმით 475 ხმის წინააღმდეგ, გადაწყვიტეს შეუერთდეს მოსკოვს. რადიკალმა დაკუმიგმა წინადადება მისცა პარტიას გაიყოს. შუა გერმანიის ზოგიერთმა ქალაქმა გადასწყვიტა შეუერთდეს მოსკოვს.

გერმანიის სურსათით უზრუნველყოფა დამოკიდებულია მასზე, თუ რა შემოვა საზღვარ გარეთიდან, ეს კი განხორციელდება მხოლოდ ანტანტის დახმარებით.

ლონის ცნობები.

ზოგიერთ გაზეთის ცნობით პალეოლოგმა შესცვალა ლონდონში პოლ კამბონი. პოლონიურ ცნობებით პოლონეთის ჯარი გროდნოსთან მდინარე ნემანზე გადავიდა. პოლონეთის ნოტაში აღნიშნულია, რომ კალვარიში მოლაპარაკების დროს ლიტვის წარმომადგენელმა უარი სთქვეს პოლონეთის წინადადებაზე, რომ შეთანხმებული იყვენ ერთა ლიგის დადგენილების შესახებ.

ტრიბუნას გადმოცემით, იტალიის მთავრობას განუცხადებია, რომ მზადაა გადასწყვიტოს ადრიატიკის საკითხი მოკავშირეებთან შეთანხმებით.

ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებულია ცნობები პურის მოსავლის შესახებ: 1920 წ. მოსავალი 1914 წელთან შედარებით უკეთესი იყო ყველაზე ცუდი მოსავალი იყო მხოლოდ 1917 წ. 1919 წელსაც ვერ იყო კარგი მოსავალი. წელს ქერის მოსავალი კარგი იყო. ომის დროს ქერის საუკეთესო მოსავალი იყო 1916 წელს და ცუდი კი 1919 წ.

ლიონი. სექტ. 27. მილიერანმა მრავალი მისალმების დეპეშები მიიღო ინგლისის, ესპანეთის, ლიუქსემბურგის ვილსონისა, ჯიოლიტისა, ლოიდ ჯორჯისა და სხვათაგან.

სტალინის ცნობები.

რიგა. 26—3. ფინეთისა და პოლონეთისა მთავრობამ აუწყა ლატვიის მთავრობას, რომ მათ აღიარეს ლატვია.

მოდანი. მდ. ჩერმატის ადიდების გამო სად. მოდანი განადგურდა. ამის გამო იტალიისა და საფრანგეთის შორის რკ. გზის მიმოსვლა შესწყდა.

რომი. 26—9. დღეს სასახლეში ჯიოლიტის თავმჯდომარეობით შესდგა მინისტრთა სხდომა. ჯიოლიტმა იტალიის მინაურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა. სფორცამ ადრიატიკის საკითხზე მოხსენება გააკეთა მინისტრთა საბჭომ მოიწონა იაოაღის დამალვისათვის სასტიკი კანონის შემოღების პროექტი.

საფრანგეთი, საზოგადოებრივი აზრი მილიერანის არჩევის შესახებ.

ვერსალის კონგრესის არჩევნების შედეგი ეთანხმება სრულიად ფრანგების მიერ ერთსულოვნად გამოთქმულ სურვილს. გაზეთები ახალ პრეზიდენტს ათელ წეოილებს უძღვნიან და სათანადოთ აფასებენ მის უბარს. განსაკუთრებულ სიხარულით შეხვდა მის არჩევას ელზასის პრესა.

დეშანელის ჯანმრთელობა.

თანახმად „ეურნალის“ ცნობისა დეშანელის ჯანმრთელობა გაუარესდა და ამიტომ მალმეზონის სანატორიუმში გადაიყვანეს.

პარიზში მყოფმა ისპანიის კონსულმა დეშანელს ისპანიას მეფის სახელით გადაგზომის გამო მწუხარება განუცხადა. დეშანელმა თავის მთავარი მდივნის პირით სთხოვა ისპანიის ელჩს გადასცეს ისპანიის მეფეს თავისი მადლობა.

საფრანგეთის აკადემიამ მწუხარება განუცხადა დეშანელს მისი ავათმყოფობის გამო, და სწრაფი მორჩენა უსურვა.

ევროპის პრესა მილიერანის შესახებ.

პარიზი 24. გაზეთებმა ახალ პრეზიდენტს წერილები უძღვნეს. ყველანი ერთხმად ესალმება მის არჩევას. აღნიშნავენ მის დამოუკიდებელ ხასიათს, ნების სიძლიერის და პირდაპირებას. ესევე ითქმის ინგლისზე. საფრანგეთის პრეზიდენტის ხასიათის სიმტკიცე და მისი ჩვეულება მიზნისაკენ პირდაპირი სვლისა ისეთ თვისებაა, რომელსაც ინგლისელები ყოველთვის სცემდეს პატივს. მიუხედავად ზოგიერთ საკითხში აზრთა სხვაობისა რაც ჰალბათ ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკა სხვაობით არის გამოწვეული, ინგლისის პრესა მაინც ძლიერ აფასებს, მილიერანს როგორც დიდ სახელმწიფოებრივ მოღვაწეს. პარასკევს დილით მილიერანი გამოეთხოვა თავის ყოფილ თანამშრომლებს მინისტრთა საბჭოში და გარეშე საქმეთა სამინისტროში. შემდეგ იგი გაემგზავრა ელისეის სასახლეში, სადაც ორივე პალატის წარმომადგენელი მიიღო. თავის მოადგილეთ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ და გარეშე საქმეთა მინისტრად მან ომის დროს ყოფილი საზღვაო მინისტრი ჟორჟ ლეგი დაასახელა. მილიერანის კაბინეტის მინისტრები უკვე შეუდგენ თავის მოვალეობის ასრულებას. მთავრობის განცხადება და რესპუბლიკის პრეზიდენტის ცნობა ორივე პალატაში შაბათს იქნება წაკითხული.

მოსკოვის ცნობები.

სამხედრო მიმოხილვა.

მოსკოვი, სექ. 25. გროდნოს სამხრეთით ცვალებანი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს, კამენეც პოდოლსკის აღმოსავლეთით 35 ვერსზე ჩვენმა ჯარებმა მრავალი სოფელი დაიკავა, ყირიმის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა აიღო სლავგოროდი, მარიუპოლის ფრონტზე მარიუპოლის დასავლეთით 23 ვერსზე თავვანწირული ბრძოლებია. მოსკოვი. სექტ. 25 პაკები ჩვენს ძალას მოუხრიან ქედს და არა სისუსტეს. ამიტომაც ყოველი მარცხი, ან სისუსტე ფრონტზე გვაშორებს წითელ არმიელთათვის სანუკვარ ზავს. ყოველმა მშრომელმა უნდა იცოდეს, რომ ჯარის ზურგს უკან უკანონოთ ყოფნა, ფრონტის დანაკლისი და სამხედრო მთავრობათა ბრძანებების დარღვევაა, ის ამით ხელს უწყობს ფრონტის დასუსტებას, ზავის შორეულ დროისათვის გადადებას და ახალ ტანჯვას უვლენს საბჭოთა რესპუბლიკას. ახლა მთელ მცხოვრებთა შემოწმება ხდება, რომ იმ ასაკის ახალგაზრდა, რომლებიც გაწვეულთა ჯარის ზურგს უკან არ იმყოფებოდეს. ყოველი მოქალაქე ვალდებულია თვითვე დარწმუნდეს თავის მოწმობის კანონიერებაში დეზერტირები ვერსად ვერ დაიმალებიან.

გროდნოს რაიონში ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარები ნემანის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდნენ. მკაცრი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა აიღეს ვოლკოვისკი და ამ ქალაქიდან დასავლეთით 10 ვერსის მანძილზე მდებარი სოფლები. კობრინის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლები გრძელდება. პროსკუროვის რაიონში ქალაქ პროსკუროვთან მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ყირიმის ორონტზე მარიუპოლის რაიონში ბრძოლა მარიუპოლის დასავლეთით 20 ვერსის მანძილზე სწარმოებს.

მოსკოვი სექტ. 27 პეტროგრადში დასავლეთის ფრონტის დახმარების კვირა დაიწყო. თეთრეულის და სხვა შემოწირულების მოსაკრეფად დიდი ორგანიზაცია მოაწყვეს. დეტსკოსელსკის მაზრის მუშებმა და გლეხებმა ფრონტების სასარგებლოდ 27,300,000 მან. შემოსწირეს. პეტროგრადის მეტყველები დასავლეთის ფრორტის საჭიროებისათვის კვირა დღეს მუშაობდენ. საბჭოთა მთავრობა ყველას მუშაობისაკენ მოუწოდებს. მას შეუძლებლად მიაჩნია რომ მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა მეორე ჯგუფის შრომით იცხოვროს. პენზაში გამოცხადდა სასურსათო ომი, რომლის განმავლობაშიც უნდა დასრულდეს საჭირო პურის შეკრება. სურსათის შესაკრებად 100 კომუნისტი გაიწვიეს. სოფელ სარკანოვში ყოფილ ქალთა მონისტრის შენობა წითელ არმიელების ბავშვების სკოლად გადააკეთეს.

ვარშავაში მყოფი გენერალი ბალახოვიჩი და პეპინოვი ყირიმში გაემგზავრენ ვრანგელთან. ვრანგელთან გაემგზავრა აგრეთვე საგანგებო კომისია 4 პოლკოვნიკისა და უნტროს ოფიცრისგან შემდგარი.

ყირიმში სამხედრო სასამართლომ ორმეზღვაურს მატაევს და ტაშჩენკის ბოლშევიკურ აგიტაციისათვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

ტროცკის ბრძანება ჯარისა და ფლოტისადმი.

სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა წითელ არმიელთა და მშრომელ ყაზახთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სექტემბრის 23 დაადგინა მიმართოს პოლონეთის მთავრობას წინადადებით 10 დღით ზავის ჩამოგდების შესახებ. ამასთანავე ომის საჩქაროდ დაპოლოვების მიზნით სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ბევრი დაუთმოს პოლონეთს. წითელ არმიის და ფლოტის ყოველმა მეომარმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვა წარმოებთ ომს არა დაპყრობითს, არა ანექსიისა და კონტრიბუციის. და არა სამხედრო დიდებისათვის ჩვენ თავს ვიცავთ და ვიბრძვით ზავისათვის. მშრომელთათვის ვიყენებთ და გვინდა ხალხს ზავი მოვუტოვოთ არა სისხლის დაღვრით, არამედ დათმობაზე წასვლით. მუშათა და გლეხთა უმაღლესი ორგანო ერთხელ კიდევ ცდის ზამთრის კამპანიის თავიდან აცილებას. ამ გადაწყვეტილების აზრი წითელ არმიისა და ფლოტის ყოველ მხედარს უნდა განემარტოს. ჯარის უფროსებს, კომისარებსა და სხვებს ევალებათ აუხსნან ფრონტზე და ზურგში მდგომ ჯარებს თუ რამდენს უომობს საბჭოთა მთავრობა პოლონეთის ბურჟუაზიულ მთავრობას. ჩვენი მხრივ ყოველ საშუალებას ვღებულობთ ზავის ჩამოსაგდებათ. თუ თეთრმა პოლონეთმა უარი სთქვა ზავზე, მაშინ წითელი არმია უკან არ დაიხევს და მუშათა და გლეხთა რუსეთის გადასარჩენად სხვერპლსაც გაიღებს.

პოლონეთის შემოტევას ჩვენ ღირსეულ პასუხს გავცემთ.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. სექტემბრის 24 რუსეთ კომ. პარტიის კონფერენციაზე მოისმინეს მოხსენება ცენტრალურ კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის შესახებ. მომხსენებელი კრესტინკოვსკი ვრცელად შეეხო ც. კ. წარსულ საორგანიზაციო მუშაობას. თანახმად პარტიის მე 9 ყრილობის დადგენილებათა დაარსდა ც. კ. საოლქო ბიუროები. მათ შორის ციმბირის, კავკასიის, ურალის, პოლონეთის, შორეულ აღმოსავლეთის, ყირიმის, და თურქესტანის. შემდეგ მოხსენებელი შეეხო კ. ს. მდივანთა მოღვაწეობას და აღნიშნა, რომ მათ სამუშაო წარსულ წელთან შედარებით ერთი ორად გაუდიდდათო. ბევრი შრომა ქონდათ ც. კ. სტატისტიკურ განყოფილებასაც. მოულოდნელად კრესტინკოვსკის მოხსენების კითხვის დროს დარბაზში შემოვიდა კლარა ცეტკინა, გერმანიის პროლეტარიატის გამოჩენილი ქალადი რომელიც გუშინ მოვიდა გერმანიიდან. კონფერენცია აღმაურებულ ოვაციებით მიეგება გერმანელ ამხანაგს ზინოვიევის წინადადებით კლარა ცეტკინას ერთხმად ირჩევენ პრეზიდიუმში.

პოლონეთი და რუსეთი.

(დაწყება არ მიგვიღია) საბჭოთა მთავრობამ უკან წაიღო თავის მოთხოვნილება პოლონეთის ჯარის რიცხვის შემცირების, პოლონეთის სამხედრო სამრეწველოების დემობილიზაციის და იარაღის რუსეთზე გადაცემის შესახებ. აღმოსავლეთი გალიცია რუსეთის ტერიტორიის საზღვრებში რჩება. ამ პირობების მისაღებათ 20 დღის ვადა დადებული.

ბრძოლა შიმშილთან. პერმის გუბერნიაში პურის მოგროვების საქმე კარგად მიმდინარეობს. ბრიანსკში კარტოფილის მოსაწევად პროფესიონალურ კავშირთა 165 წევრს უყვეს მობილიზაცია. ალექსანდროვის მაზრაში თვის შესაგროვებლად გამოიყვანეს ყველა მცხოვრებლები 15 წ—55 წლამდი.

ცეცხლი ბალკანეთში.

ბულგარეთს სხვა და სხვა ქალაქებში საფრანგეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციები ხდება.

პოლონეთი-რუსეთი.

მაგაშიველმა „კუჯარი“ დაიკავა და ადგილობრივი მთავრობა გარეკეს. გაიხსნა სრულიად მთელი რუსეთის ცენტრალურ აღ. კომიტეტთა მესამე სესია. მრისმ ნეს ჩიჩერინს მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. გიმმართა გაცხრა ... ...

ახალი ამბები.

სამინისტროებში.

— **ფინანსთა სამინისტროში.** დახმარება ელექტრონის სადგურებს. ვაჭრობა და მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორმა ე. ნ. ალშიბაიამ ფინანსთა მინისტრს მოახსენა, გაუკეთა ელექტრონის სადგურებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხების შესახებ. ამავე დროს მან მოახსენა მინისტრს ტეხნიკურ კომიტეტის დადგენილება, რომელიც ტფილისში არსებულ ელექტრონის სადგურების სახალხოსაკეთებელ მნიშვნელობის აღიარებას ეხება. ფინანსთა მინისტრმა ამის გამო განკარგულება გაცა აღმოუჩინონ შეძლებისა და გვარად დახმარება ელექტრონის სადგურებს, რათა მათ შუაობა ნორმალურ კალაპოტში ვითარდებოდეს.

— **ახალ-ბოსტანი შემოსავალი ივლისის განმავლობაში.** თანახმად „რესპუბლიკის 16 ხახანიდან წინასწარ მიღებულ ცნობებისა ივლისის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადის სახით სულ 122.260. 264 მან. შემოსულა. ამ თანხიდან პირდაპირი გადასახადის სახით შემოსულა 4.444.808 მან. აია პირდაპირ სახით 101 228. 793 მან. საბაჟო გადასახადის სახით კი 48.592.389 მან. ივნისის თვესთან შედარებით ივლისში სახელმწიფო შემოსავალსა პირველად ყოვლისა არის შედეგი ბათომის ოლქის შემოერთებისა, ვინაიდან მხოლოდ ბათომის ოლქის ხაზინაში შემოსულა ამ თვის განმავლობაში 16.942 976 მან. ცალკე ხაზინიდან სახელმწიფო შემოსავალი შემდეგი წესით ნაწილდება: პირველ რიგში სდგას ტფილისის ხაზინა 81. 181. 754 მ.ნ. შემდეგ ბათომს, სოხუმს, ქუთაისს, ფოთის და სხვა. პირდაპირი ისე როგორც არა პირდაპირი გადასახადის სახით მეტი შემოსულა ტფილისის ხაზინაში. საბაჟო გადასახადი კი ბათომის ოლქში.

— **გუდაუთის შუამდგომლობა.** გუდაუთის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე საჩივარი საქმის ოპერაციებისთვის საჯაურისთო სკოლის მოცემას შესახებ შუამდგომლობა აღძრა. სამინისტრომ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილა იმ მოსაზრებით, რომ ამ რამოდენიმე ხნის წინად ნახ. მიღებული მანდატის სესხი მიეცათ.

— **სოხუმის შუამდგომლობა.** სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ სოხუმიდან საქმეთა სამინისტროს დაარტიკულირებ დადგენილება ბინიატოლოგ. ნ. ხალის ჩამორთმევის შესახებ. ჩამორთმეული სახლი მუშათა სასახლეს უნდათ გამოიყენონ. ბინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა შრომის სამინისტროს გადაუგზავნა თავის ხელიდ მთავრობის წინაშე საბოლოდ შუამდგომლობის აღძრავად.

— **შორაპნის ერობის შუამდგომლობა.** შორაპნის მაზრის ერობამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინოთ იმათ, რომელებსაც საჭონლის ბინა საქონელი გაუწყვიტა. შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა ამ შუამდგომლობას და შორაპნის მაზრის ერობას მოსთხოვა გამოარკვიოს თუ რამდენად დაზარალდნენ მცხოვრებელები ამ სენით.

— **დახმარება ახალ ქალაქის ერობას.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა რათა ახალქალაქის ერობას 100 მილიონიან ფონდიდან საჭირო სესხი მიეცეს.

— **აფხაზეთში.** აფხაზეთის კომისარიატის მიწად-მოქმედების განყოფილებამ მიწად-მოქმედების სამინისტროს წარუდგინა ნოხსენება, სადაც აღნიშნულია, რომ განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება კულტურულ მამულებს მიღებას მიაქცია. ამის გარდა მიღებულ იქმნა ზომები ტყეების გაჩეხის წინააღმდეგ. გამოიმუშავეს წესები ტყის მამულების სოფლებზე გადაცემის შესახებ. შუშის და ხე—ტყის მასალა სალა სოფლელებს უფასოდ ეძლევ დეთ. ყუთაჯღება მიექცა აგრეთვე ერობებში საქმეთა სამინისტროს დაარტიკულირებ დადგენილება ბინიატოლოგ. ნ. ხალის ჩამორთმევის შესახებ. ჩამორთმეული სახლი მუშათა სასახლეს უნდათ გამოიყენონ. ბინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა შრომის სამინისტროს გადაუგზავნა თავის ხელიდ მთავრობის წინაშე საბოლოდ შუამდგომლობის აღძრავად.

— **ბორჩალოს ერობის შუამდგომლობა.** ბორჩალოს ერობამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინოთ იმათ, რომელებსაც საქონლის ბინა საქონელი გაუწყვიტა. შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა ამ შუამდგომლობას და ბორჩალოს ერობას მოსთხოვა გამოარკვიოს თუ რამდენად დაზარალდნენ მცხოვრებელები ამ სენით.

— **დახმარება ახალ ქალაქის ერობას.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა რათა ახალქალაქის ერობას 100 მილიონიან ფონდიდან საჭირო სესხი მიეცეს.

— **აფხაზეთში.** აფხაზეთის კომისარიატის მიწად-მოქმედების განყოფილებამ მიწად-მოქმედების სამინისტროს წარუდგინა ნოხსენება, სადაც აღნიშნულია, რომ განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება კულტურულ მამულებს მიღებას მიაქცია. ამის გარდა მიღებულ იქმნა ზომები ტყეების გაჩეხის წინააღმდეგ. გამოიმუშავეს წესები ტყის მამულების სოფლებზე გადაცემის შესახებ. შუშის და ხე—ტყის მასალა სალა სოფლელებს უფასოდ ეძლევ დეთ. ყუთაჯღება მიექცა აგრეთვე ერობებში საქმეთა სამინისტროს დაარტიკულირებ დადგენილება ბინიატოლოგ. ნ. ხალის ჩამორთმევის შესახებ. ჩამორთმეული სახლი მუშათა სასახლეს უნდათ გამოიყენონ. ბინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა შრომის სამინისტროს გადაუგზავნა თავის ხელიდ მთავრობის წინაშე საბოლოდ შუამდგომლობის აღძრავად.

— **ბორჩალოს ერობის შუამდგომლობა.** ბორჩალოს ერობამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინოთ იმათ, რომელებსაც საქონლის ბინა საქონელი გაუწყვიტა. შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა ამ შუამდგომლობას და ბორჩალოს ერობას მოსთხოვა გამოარკვიოს თუ რამდენად დაზარალდნენ მცხოვრებელები ამ სენით